ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3181838

ნომერი: AR1491243

თარიღი : 30.03.2017

გაცემის თარიღი : 03.04.2017

გაცნობის თარიღი : 03.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი "ა" , ხიზაბავრის ქუჩის მიმდებარედ., (ნაკვეთი N18/73) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა გიგაშვილი პ/ნ 01017055357
- თბილისი რუსთავის გზატ. N 28ა ბ. 31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტისარქიტექტურისსამსახურის2015 წლის 24 აპრილის№1857818 ბრძანებაშიტექნიკურიშეცდომისგასწორებისთაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 30 მარტს №AR1491243 განცხადებით მომართა მოქ. ნიკა გიგაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2015 წლის 24

აპრილის №1857818 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2015 წლის 24 აპრილის №1857818 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი–გლდანი, მიკრო/რაიონი "ა", ხიზაბავრის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი N18/73) ი.ბ.ა. "გლდანი – 999"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.11.12.018.073) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 25 აპრილიდან 2016 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის მოსაზრებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად მითითებულია 14054.6 კვ.მ ნაცვლად 15021.6 კვ.მ-სა, საზაფხულო ფართობად მითითებულია 2108.6 კვ.მ ნაცვლად 2738.48 კვმ-სა, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად მითითებულია 534.4 კვმ ნაცვლად 429.6 კვ.მ-სა, კომერციული ფართობად მითითებულია 2206.2 კვ.მ ნაცვლად 2406.31 კვ.მ-სა, დამხმარე ფართობად მითითებულია 2175.3 კვ.მ ნაცვლად 2313.18 კვ.მ-სა, საერთო ფართობად მითითებულია 22528.6 კვ.მ ნაცვლად 24153.47 კვმ-სა.
სამსახურმა 2017 წლის 30 მარტის №AR1491243 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა 2015 წლის 24 აპრილის №1857818 ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2015 წლის 24 აპრილის №1857818 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა გაასწოროს სამსახურის 2015 წლის 24 აპრილის №1857818 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად მიუთითოს 15021.6 კვ.მ ნაცვლად 14054.6 კვ.მ-სა, საზაფხულო ფართობად მიუთითოს 2738.48 კვ.მ ნაცვლად 2108.6 კვმ-სა, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად მიუთითოს 429.6 კვ.მ ნაცვლად 534.4 კვ.მ-სა, კომერციული ფართობად მიუთითოს 2406.31 კვ.მ ნაცვლად 2206.2 კვ.მ-სა, დამხმარე ფართობად მიუთითოს 2313.18 კვ.მ ნაცვლად 2175.3 კვ.მ-სა, საერთო ფართობად მიუთითოს 24153.47 კვ.მ ნაცვლად 22528.6 კვმ-სა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 აპრილის №1857818 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად მიეთითოს 15021.6 კვ.მ, საზაფხულო ფართობად მიეთითოს 2738.48 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად მიეთითოს 429.6 კვ.მ, კომერციული ფართობად მიეთითოს 2406.31 კვ.მ, დამხმარე ფართობად მიეთითოს 2313.18 კვ.მ, საერთო ფართობად მიეთითოს 47 კვ.მ.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 აპრილის №1857818 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

1. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 აპრილის №1857818 ბრძანებასთან ერთად.

1. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.